განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
4-5 ნოემბერი, 2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
17 დეკემბერი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები (International Relations)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (BA in International Relations)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №118; 17.10.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვიჩა ბერიძე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილების საფუძველზე.

პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი (წელიწადში 60 კრედიტი, სემესტრში 30 კრედიტი, 1 კრედიტს შეესაბამება 25 სთ) და ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურა დაყოფილია შემდეგ ნაწილებად: თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები 45 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები 120 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი; დამატებითი სპეციალობა (minor) 60 კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება უცხო ენების სწავლებაზე. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს ინგლისური ენის სავალდებულო გაძლიერებულ სწავლებას (30 კრედიტი ენის სწავლება სხვადასხვა დონეების მიხედვით, 10 კრედიტი დარგობრივი ენის სწავლება) და მეორე უცხო ენის (ფრანგული, გერმანული, რუსული) შესწავლას საკომუნიკაციო დონეზე პროგრამის არჩევით ნაწილში (15 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი მიმდინარეობდა 2 დღის მანძილზე ონლაინ ფორმატში (ZOOM) შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. აკრედიტაციის ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუები უსდ და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, უსდ და ფაკულტეტის ხარისხის მართვის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელდა ინფრასტრუქტურის დათვალიერება, საბიბლიოთეკო რესურსებისა და პერსონალისა და სტუდენტების სერვისების განხორციელებული საუნივერსიტეტო პლატფორმების გაცნობა. ვიზიტმა ჩაიარა კეთილგანწყობილ, კოლეგიალურ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.6. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

1.2

რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში პროგრამის შედეგების რეფორმულირება ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული დარგობრივი ასპექტების გათვალიწინებით და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის ნაწილში იმ ასპექტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის სტრუქტურით და შეესაბამება სფეროს საფეხურს.

2.2.

რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის არჩევითი ნაწილის მოცულობა და გამრავალფეროვნდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი სფეროს სფეციფიკისა და სწავლების დონის შესაბამისი სასწავლო კურსებით.

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში დარჩეს მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების minor პროგრამა.

რეკომენდებულია, პროგრამის სტუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს ეკონომიკის შემსწავლელი საბაზისო კურსი (შესავალი ეკონომიკაში ან ეკონომიკის საფუძვლები) ხოლო არსებული კურსი „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ გადავიდეს სტრუქტურის არჩევით ნაწილში და მის წინაპირობად განისაზღვროს ეკონომიკის შემსწავლელი საბაზისო კურსი.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“ გადანაცვლდეს VII ან VIII სემესტრში.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“; სასწავლო კურსი „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსებისთვის: „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“, „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“; სასწავლო კურსს „სსრკ დაშლა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური პრობლემები“ მოეხსნას არსებული წინაპირობა („პოლიტიკური იდეოლოგიები“) და წინაპირობად განესაზღვროს „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“.

2.3.

რეკომენდებულია, დაზუსტდეს სათაური სასწავლო კურსებისთვის: „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“; „საერთაშორისო ურთიერთობები და საგარეო პოლიტიკა“; „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი“; „მიგრაცია და საერთაშორისო ურთიერთობები“; „პოლიტიკური კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“.

რეკომენდებულია, განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში: „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“; „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“; „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი“; „პოლიტიკური კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“; „პროფესიული პრაქტიკა“.

რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში ყველა თემას მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურა.

რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში გამრავალფეროვნდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა (ახალი გამოცემებით, ინგლისურენოვანი ლიტერატურით, უცხო ენებიდან ნათარგმნი ლიტერატურით, პოლიტიკის დოკუმენტების გამოყენებით, სასარგებლო ბმულების მითითებით და სხვ.)

2.4.

რეკომენდებულია, მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტების ის რაოდენობა, რა რაოდენობის სტუდენტებისთვისაც შეუძლია პარტნიორ ორგანიზაციებს პრაქტიკის უზრუნველყოფა, ასევე, პრაქტიკის სავარაუდო ხანგრძლივობა და დანიშნულება.

2.5.

რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების ნაკლები უნიფიცირება სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების სისტემის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია, უსდ-მ მოახდინოს პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენების შესახებსფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

2.6.

რეკომენდებულია, შეფასების რუბრიკები და მეთოდები გახდეს არაუნიფიცირებული თითოეული სასწავლო კურსისთვის სასწავლო კურსის შინაარსისა და მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1.1.

სასურველია, პროგრამის მიზნების ენობრივი კომპეტენციის ნაწილში უცხო ენა დაზუსტდეს როგორც ინგლისური ენა და თავისუფალი კომუნიკაცია დაზუსტდეს როგორც დარგობრივი კომუნიკაცია.

სასურველია, უსდ-მ სააკრედიტაციო დოკუმენტაცია წარმოადგინოს ტექნიკური ხარვეზების გარეშე და მიზნების საბოლოო ვერსია ერთი და იგივე ფორმულირებით იყოს წარმოდგენილი კურიკულუმსა და თვითშეფასების დოკუმენტში.

1.2

სასურველია, პროგრამის სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულობის ანალიზისთვის ჩატარდეს დამოუკიდებელი კვლევა პროგრამის სტუდენტებისთვის.

2.2.

სასურველია, სასწავლო კურსი „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსებისთვისთვის „საერთაშორისო ორგანიზაციები“ და „კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“, ხოლო სასწავლო კურსი “საერთაშორისო ორგანიზაციები“ განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსისთვის „ევროპული ინტეგრაცია“.

სასურველია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო ან არჩევით სასწავლო კურსად.

2.3.

სასურველია, გამოცდებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების გაზრდა.

2.4.

სასურველია, სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში სწავლების მეთოდების და შეფასების სისტემის გადახალისებით გაძლიერდეს ისეთი პრაქტიკული უნარების განვითარება, როგორიცაა: ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების და დამუშავების უნარი; ჯგუფური მუშაობის უნარი; საჯარო გამოსვლის უნარი; ანალიტიკური აზროვნების უნარი; ანგარიშის წერის უნარი.

სასურველია, უნივერსიტეტის მხრიდან დამატებითი მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში მოტივაციის ზრდას, რათა უფრო აქტიურად ჩაერთონ სტუდენტურ კონფერენციებსა და გაცვლით პროექტებში.

სასურველია, სტუდენტებს „პროფესიული პრაქტიკის“ გავლის შესაძლებლობა მიეცეთ ქუთაისის მერიის გარდა სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც ერთი მხრივ, შესაძლებელი იქნება სტუდენტების კვლევებში ჩართვა, ხოლო მეორე მხრივ, გაძლიერდება დარგობრივ პრაქტიკულ საქმიანობაში სტუდენტების მონაწილეობა.

4.4.

სასურველია, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი წარმოდგენილი იყოს უფრო თვალსაჩინოდ, სადაც

გამოჩნდება ამ მიმართულებით წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური ხარჯი.

5.2.

სასურველია, პროგრამას ქონდეს გარე შეფასება ევროპული უნივერსიტეტებიდანაც, მით უფრო, რომ უსდს გააჩნია საკმაოდ კარგი პარტნიორული ურთიერთობები ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2011 წელს აკრედიტაცია გაიარა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ „სოციალური მეცნიერებები“, რომლის შემადგენელი ერთ-ერთი მოდული იყო „საერთაშორისო ურთიერთობები“. ახალი კვალიფიკაციის ჩარჩოს (ბრძანება 69/ნ) და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამის განმახორციელებელი ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოცდილების საფუძველზე აკრედიტაციისთვის მომზადდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ (აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება № 46(20/21), 21.07.2021)

აკრედიტაციაზე წარმოდგენილ პროგრამაში განხორციელდა რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები: გაძლიერდა უცხო ენების სწავლება (გაიზარდა უცხო ენების წილი 40 კრედიტამდე, პროგრამის სტრუქტურას დაემატა დარგობრივი უცხო ენა, სტუდენტებს მიეცა მეორე ენის შესწავლის საშუალება); პროგრამას დაემატა დარგისთვის აუცილებელი სასწავლო კურსები: დიპლომატიური მოლაპარაკებების თეორია და პრაქტიკა, საერთაშორისო საჯარო სამართალი, გლობალიზაცია და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი, მიგრაცია და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ორგანიზაციები. განახლდა პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. გაძლიერდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შემადგენლობა.

მოსაზრებები უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. აღსანიშნავია, რომ უსდ ითვალისწინებს სააკრედიტაციო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს და აღნიშნავს, რომ უკვე დაწყებულია მუშაობა აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის. მათ შორის, 4.4 ქვესტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით (ბიუჯეტის ფორმა) უსდ გვაწვდის ინფორმაციას: „უკვე შემუშავდა ცვლილებების პროექტი პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში, რომლის თანახმად ბიუჯეტში ასახული იქნება ფინანსური ხარჯები ყველა ტიპის აქტივობისთვის, მათ შორის დაგეგმილი სხვადასხვა პროექტებისთვის. პროექტი წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად წარედგინება 2021 წლის 21 დეკემბერს“. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააკრედიტაციო ჯგუფის წევრების ერთობლივი მოსაზრებით, დასკვნის პროექტში წარმოდგენილი 4.4. ქვესტანდარტის რეკომენდაცია წარმოდგენილ დასკვნაში ასახულია როგორც რჩევა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. კერძოდ, პროგრამის მიზნები გულისხმობს ზოგადი თეორიული ცოდნის გადაცემას, მიღებული თეორიული ცოდნის გააზრებას და განზოგადებას, უცხო ენის თავისუფალი კომუნიკაციის დონეზე დაუფლებას და მიღებული ცოდნის შესაბამის გარემოში თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირებას და დამოუკიდებელი ორიენტაციის უნარის განვითარებას, ღირებულებებისა და ფასეულობების გააზრებას სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ასპექტებს და ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უსდ მისიასთან, ფაკულტეტის მისიასთან, ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიასთან და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის მიზნების შესაბამისობა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ მე-6 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებთან სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით დადებითად არის შეფასებული გარე შემფასებლის მიერ. შიდა შეფასებაში გამოთქმულია მოსაზრება უცხო ენის კომპეტენციასთან დაკავშირებული მიზნის რეფორმულირების შესახებ აზრის მკაფიოდ გამოსახატად და სფეროს სპეციფიკასთან დასაკავშირებლად. გარდა ამისა, პროგრამის კურიკულუმის მიხედვით, სავალდებულო უცხო ენა გულისხმობს ინგლისურ ენას და უმჯობესი იქნება მიზნებში დაზუსტებაც. **სასურველია,** პროგრამის მიზნების ენობრივი კომპეტენციის ნაწილში უცხო ენა დაზუსტდეს როგორც ინგლისური ენა და თავისუფალი კომუნიკაცია დაზუსტდეს როგორც დარგობრივი კომუნიკაცია. გარდა აღნიშნულისა, მიზნების ნაწილი გავრცობილი და დაზუსტებულია პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში ხოლო კურიკულუმში არა, რასაც განვიხილავთ ტექნიკურ შეცდომად, ხოლო კურიკულუმის მიზნების ბოლო პუნქტი განმარტავს დასაქმების სფეროებს, რაც მონიშნულია წითელი ფერით და ასევე განვიხილავთ როგორც ტექნიკურ შეცდომას. **სასურველია,** უსდ-მ სააკრედიტაციო დოკუმენტაცია წარმოადგინოს ტექნიკური ხარვეზების გარეშე და მიზნების საბოლოო ვერსია ერთი და იგივე ფორმულირებით იყოს წარმოდგენილი კურიკულუმსა და თვითშეფასების დოკუმენტში.

პროგრამის მიზნების შემუშავებაში თვითშეფასების ჯგუფის წევრებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობა დასტურდება განხორციელებული ინტერვიუებით. პროგრამის მიზნები ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • შიდა და გარე შეფასების დოკუმენტები; • უსდ მისია და ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია (2018-2024); • აწსუ სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018) • თვითშეფასების ჯგუფის ოქმები; • შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა 2020; • ინტერვიუს შედეგები; • უსდ ვებგვერდი https://atsu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** პროგრამის მიზნების ენობრივი კომპეტენციის ნაწილში უცხო ენა დაზუსტდეს როგორც ინგლისური ენა და თავისუფალი კომუნიკაცია დაზუსტდეს როგორც დარგობრივი კომუნიკაცია. **სასურველია,** უსდ-მ სააკრედიტაციო დოკუმენტაცია წარმოადგინოს ტექნიკური ხარვეზების გარეშე და მიზნების საბოლოო ვერსია ერთი და იგივე ფორმულირებით იყოს წარმოდგენილი კურიკულუმსა და თვითშეფასების დოკუმენტში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. კერძოდ, ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში აღწერილია რა ტიპის დარგობრივ ცოდნას შეიძენს სტუდენტი და როგორ გააცნობიერებს მიღებულ თეორიულ ცოდნას; შედეგების უნარების ნაწილში აქცენტი კეთდება ანალიზისა და ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტირების უნარებზე; პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი აქცენტს აკეთებს მხოლოდ ღირებულებებსა და ფასეულობებზე. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ძირითადად შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებსა და პროგრამის სტრუქტურას. აღსანიშნავია, რომ შედეგების ცოდნის ნაწილში არ არის სრულად დაკონკრეტებული დარგობრივი ცოდნის ასპექტები, გადაწყვეტილებების მიღების უნარი კი ხაზგასმულია მხოლოდ უნარების ნაწილში და არა შედეგების ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის ნაწილში, რომელიც მხოლოდ ღირებულებებსა და სწავლის საჭიროებების განსაზღვრაზე აკეთებს აქცენტს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სავალდებულო პროფესიულ პრაქტიკას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში პროგრამის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების ნაწილს ახლავს დარგობრივი ასპექტების დეტალური ჩამონათვალი პროგრამის სტრუქტურაზე დაყრდნობით. ვინაიდან დაინტერესებულ მხარეებს პროგრამის შედეგების გაცნობა შეეძლებათ პროგრამის კურიკულუმის საშუალებით და არა თვითშეფასების დოკუმენტით, **რეკომენდებულია,** პროგრამის კურიკულუმში განხორციელდეს პროგრამის შედეგების რეფორმულირება, ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული დარგობრივი ასპექტების გათვალიწინებით და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის ნაწილში იმ ასპექტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის სტრუქტურით და შეესაბამება სფეროს საფეხურს.

პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია, ითვალისწინებს პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დასტურდება განხორციელებული ინტერვიუებით.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია. პროგრამის სწავლის შედეგების კურიკულუმთან შესაბამისობისთვის გაკეთდა კურიკულუმის რუკა, სადაც გათვალისწინებულია სამ დონიანი შეფასება (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები, სამიზნე ნიშნულებთან დადარება მოხდება 2 წლიან დინამიკაზე მონიტორინგის შემდეგ.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ უსდ-ს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ შეფასებას სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (სტუდენტის აქტივობების, პრაქტიკის ანგარიშების და საბაკალავრო ნაშრომების შეფასება; შიდა და გარე შეფასებები, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების გამოკითხვები; პერსონალის ურთიერთდასწრება; გამოკითხვებით მიღებული შედეგების ანალიზი, პროგრამის დასრულებისა და დასაქმების

მაჩვენებლების ანალიზი და სხვ.) სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე. უსდ ახდენს შეფასების მეთოდებით მიღებული ინფორმაციის გაანალიზებას და პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენებას, რაც დასტურდება უსდ თვითშეფასების დოკუმენტებით (2016,2017, 2018).

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ უსდ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

საყურადღებო ინფორმაციას იძლევა აწსუ სტუდენტების ჩართულობისა და კმაყოფილების კვლევის დოკუმენტი, რომლის მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა (1955 სტუდენტი) მხოლოდ 23,7 % ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობას. კონკრეტულ პროგრამაზე მსჯელობა აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით შეუძლებელია, რადგან მასში მონაწილეობას იღებდა უსდ-ის 8 ფაკულტეტის სხვადასხვა პროგრამების სტუდენტები. **სასურველია,** პროგრამის სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულობის ანალიზისთვის ჩატარდეს დამოუკიდებელი კვლევა პროგრამის სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმის რუკა;
- კურიკულუმის რუკის ანალიზი;
- უსდ ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- პროგრამის მიზნების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან;
- უსდ შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები;
- ურთიერთდასწრების ოქმები;
- სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის შეფასება აკადემიური პერსონალის მიერ;
- სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი (2019, 2020)
- აწსუ-ს სტუდენტების ჩართულობისა და კმაყოფილების კვლევა (2017-2018)
- კურსდამთავრებულთა კვლევა (2019)
- თვითშეფასების ანგარიშები (2016, 2017; 2018)
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა 2020;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში პროგრამის შედეგების რეფორმულირება ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული დარგობრივი ასპექტების გათვალიწინებით და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის ნაწილში იმ ასპექტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის სტრუქტურით და შეესაბამება სფეროს საფეხურს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულობის ანალიზისთვის ჩატარდეს დამოუკიდებელი კვლევა პროგრამის სტუდენტებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „საერთაშორისო ურთიერთობები“ ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩაბარული აქვს ინგლისური ენა. ჩარიცხვის წინაპირობად უცხო ენის გამოცდის ინგლისური ენით განსაზღვრა იმსახურებს დადებით შეფასებას დარგის სპეციფიკისა და პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, პროგრამის შინაარსსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

საგანმანათლებლო პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხდება უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღია კარის დღეებზე. შესაბამისად, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- აწსუ მობილობის განხორციელებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი;
- უსდ სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი.
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით („საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის- EP-QA“) აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილების საფუძველზე. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი (წელიწადში 60 კრედიტი, სემესტრში 30 კრედიტი, 1 კრედიტს შეესაბამება 25 სთ) და ხანგრძლივობა 4 წელი (8 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურა დაყოფილია შემდეგ ნაწილებად: თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები 45 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები 120 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი; დამატებითი სპეციალობა (minor) 60 კრედიტი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურიკულუმსა და თვითშეფასების დოკუმენტში საკრედიტო დათვლა სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი და სტანდარტის შეფასების პროცესში ვეყრდნობით კურიკულუმით შემოთავაზებულ დათვლას, რომელიც დასტურდება ცალკეულ სილაბუსებში წარმოდგენილი მონაცემებით. პროგრამის სტრუქტურაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება უცხო ენების სწავლებაზე. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს ინგლისური ენის სავალდებულო გაძლიერებულ სწავლებას (30 კრედიტი ენის სწავლება სხვადასხვა დონეების მიხედვით, 10 კრედიტი დარგობრივი ენის სწავლება) და მეორე უცხო ენის (ფრანგული,გერმანული, რუსული) შესწავლას საკომუნიკაციო დონეზე პროგრამის არჩევით ნაწილში (15 კრედიტი). აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება და არჩევითი მეორე უცხო ენის დამატება პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა სტუდენტებისა და დამსაქმებლების მოთხოვნით. პროგრამის სავალდებულო ნაწილი მოიცავს სხვადასხვა შესავალ კურსებს (სფეროს და მომიჯნავე სფეროების), სფეროს მაკვალიფიცირებელ სასწავლო კურსებს, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კურსებს (მათ შორის პროფესიული პრაქტიკა 5 კრედიტი) და სფეროს კონკრეტული ასპექტების შემსწავლელ კურსებს, რომელთა გადატანა არჩევით ნაწილში სრულიად შესაძლებელია. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის არჩევითი ნაწილი წარმოდგენილია მხოლოდ 15 კრედიტით (მეორე უცხო ენის არჩევის

შემთხვევაში სტუდენტს არ რჩება შესაძლებლობა აირჩიოს დარგთან დაკავშირებული რაიმე საგანი), ხოლო თავისუფალი კრედიტები საერთოდ არ არის გათვალისწინებული. გარდა აღნიშნულისა, არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი საკმაოდ მწირია და ძირითადად მომიჯნავე სფეროდან. **რეკომენდებულია,** გაიზარდოს პროგრამის არჩევითი ნაწილის მოცულობა და გამრავალფეროვნდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი სფეროს სფეციფიკისა და სწავლების დონის შესაბამისი სასწავლო კურსებით.

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ორი minor მოდული სხვა ფაკულტეტების/პროგრამების სტუდენტებისთვის: საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკის მეცნიერებები. შეკითხვას აჩენს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა რატომ აყალიბებს პოლიტიკის მეცნიერებების minor პროგრამას, რომლის სტრუქტურა შედგება როგორც პოლიტიკის მეცნიერების, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს საგნებისგან. **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურაში დარჩეს მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების minor პროგრამა.

პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით, ჩნდება კიდევ ერთი მოსაზრება. სასწავლო კურსი „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ ისწავლება მესამე სემესტრში წინაპირობის გარეშე. პროგრამის წარმოდგენილ სტრუქტურაში ეს ერთადერთი ეკონომიკური პროფილის საგანია და სილაბუსის შინაარსის მიხედვით, ნაკლებად არის გათვალისწინებული ამ სფეროს პროგრამისთვის. **რეკომენდებულია,** პროგრამის სტუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს ეკონომიკის შემსწავლელი საბაზისო კურსი (შესავალი ეკონომიკაში ან ეკონომიკის საფუძვლები) ხოლო არსებული კურსი „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ გადავიდეს სტრუქტურის არჩევით ნაწილში და მის წინაპირობად განისაზღვროს ეკონომიკის შემსწავლელი საბაზისო კურსი.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, პროგრამის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სფეროს აქტუალურ საკითხებს (მაგალითად, გამოვარჩევდით არჩევით სასწავლო კურსს „კიბერუსაფრთხოება“).

სასწავლო კურსების ბმა უმეტესად თანმიმდევრული და ლოგიკურია. შეკითხვას აჩენს მხოლოდ სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“ რომელიც ისწავლება მეორე სემესტრში. **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“ გადანაცვლდეს VII ან VIII სემესტრში.

პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, სასწავლო კურსების უმეტესობას არ აქვს წინაპირობა, რაც აჩენს შეკითხვებს ზოგიერთი სასწავლო კურსის შემთხვევაში. გარდა ამისა, იმ სასწავლო კურსების შემთხვევაში, რომლებსაც მითითებული აქვს წინაპირობები, ასევე ჩნდება გარკვეული შეკითხვები. კერძოდ, **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“; სასწავლო კურსი „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსებისთვის: „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“, „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“; სასწავლო კურსს „სსრკ დაშლა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური პრობლემები“ მოეხსნას არსებული წინაპირობა („პოლიტიკური იდეოლოგიები“) და წინაპირობად განესაზღვროს „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“. ასევე, **სასურველია,** სასწავლო კურსი „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსებისთვისთვის „საერთაშორისო ორგანიზაციები“ და „კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“, ხოლო სასწავლო კურსი “საერთაშორისო ორგანიზაციები“ განისაზღვროს წინაპირობად

სასწავლო კურსისთვის „ევროპული ინტეგრაცია“.

პროგრამის სტრუქტურა არ ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომს. **სასურველია,** პროგრამის სტრუქტურას დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო ან არჩევით სასწავლო კურსად.

დაინტერესებული მხარეების პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართული სილაბუსებით;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია და დანართები;
- თვითშეფასების ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის არჩევითი ნაწილის მოცულობა და გამრავალფეროვნდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი სფეროს სფეციფიკისა და სწავლების დონის შესაბამისი სასწავლო კურსებით.

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში დარჩეს მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების minor პროგრამა.

რეკომენდებულია, პროგრამის სტუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს ეკონომიკის შემსწავლელი საბაზისო კურსი (შესავალი ეკონომიკაში ან ეკონომიკის საფუძვლები) ხოლო არსებული კურსი „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ გადავიდეს სტრუქტურის არჩევით ნაწილში და მის წინაპირობად განისაზღვროს ეკონომიკის შემსწავლელი საბაზისო კურსი.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“ გადანაცვლდეს VII ან VIII სემესტრში.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“; სასწავლო კურსი „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსებისთვის: „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“, „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“; სასწავლო კურსს „სსრკ დაშლა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური პრობლემები“ მოეხსნას არსებული წინაპირობა („პოლიტიკური იდეოლოგიები“) და წინაპირობად განესაზღვროს „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სასწავლო კურსი „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსებისთვისთვის „საერთაშორისო ორგანიზაციები“ და „კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“, ხოლო სასწავლო კურსი “საერთაშორისო ორგანიზაციები“ განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსისთვის „ევროპული ინტეგრაცია“.

სასურველია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო ან არჩევით სასწავლო კურსად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ სასწავლო კურსების მრავალფეროვან არჩევანს გვთავაზობს სხვადასხვა სტატუსით და საინტერესო თემატიკის ფართო სპექტრით, რაც უდაოდ პროგრამის პლიუსია. მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსის გაცნობა იწვევს სხვადასხვა შეკითხვებს და ფიქსირდება სხვადასხვა ტიპის ხარვეზები. სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“ შედგება სხვადასხვა საინტერესო საკითხებისგან და სილაბუსის მიზნებისა და შინაარსის მიხედვით, ერთგვარი ჰიბრიდია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და საერთაშორისო პოლიტიკის, რაც ტოვებს სხვადასხვა თემის ხელოვნურად დაკავშირების შთაბეჭდილებას. გარდა ამისა, შეკითხვას აჩენს თემების ბმაც, მაგ. ჯერ ისწავლება საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე კონცეფციები და შემდეგ კლასიკური თეორიები. სასწავლო კურსი „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“ შინაარსის მიხედვით ასევე ტოვებს სხვადასხვა თემების ხელოვნურად დაკავშირების მცდელობას და ნაკლებად ეყრდნობა კონკრეტული ქეისების განხილვასა და სხვადასხვა სისტემების შედარებით ანალიზს შედარებითი პოლიტიკის თეორიაზე/თეორიებზე დაყრდნობით. სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობები და საგარეო პოლიტიკა“ სათაურის მიხედვით უნდა გვთავაზობდეს საგარეო პოლიტიკის წარმოების თეორიულ მიმოხილვას და აქტუალური მოვლენების განხილვას მიმდინარე საერთაშორისო ურთიერთობებში, თუმცა სილაბუსის შინაარსი გვთავაზობს საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა მოვლენებისა და საგარეო პოლიტიკის დოქტრინების საინტერესო მიმოხილვას ისტორიულ ჭრილში (ვერსალის კონფერენციიდან 9/11 ჩათვლით) და შეკითხვას აჩენს შინაარსის სათაურთან შესაბამისობა. „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი“ სათაურის მიხედვით

სამაგისტრო დონის გაღრმავებული კურსია, რომელიც კონფლიქტების მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება/ტრანსფორმაციაზე ზეგავლენას უნდა სწავლობდეს, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ სტუდენტს უნდა ჰქონდეს მინიმუმ რამდენიმე დარგისა და ქვედარგის საფუძვლების ცოდნა (კონფლიქტოლოგია, მშვიდობის მშენებლობა, საერთაშორისო წესრიგი, საერთაშორისო სამართალი...). შინაარსის მიხედვით კურსი თეორიულ ჭრილში განიხილავს კონფლიქტოლოგიისა და უსაფრთხოების საფუძვლებს და ნაკლებად გვთავაზობს კონკრეტული საერთაშორისო კონფლიქტების ანალიზს. შესაბამისად, აღნიშნული კურსის სათაურს უნდა მოეხსნას „მსოფლიო წესრიგი“, მოეძებნოს შესაფერისი სათაური და მოხდეს შინაარსის განახლება სათაურისა და თემების ლოგიკური ბმის გათვალისწინებით.

სასწავლო კურსი „მიგრაცია და საერთაშორისო ურთიერთობები“ აქტუალური სასწავლო კურსია, რომელსაც დადებითად აფასებენ სტუდენტებიც. სილაბუსის შინაარსი მიმოიხილავს მიგრაციის სხვადასხვა ასპექტებსა და პრობლემებს და მიგრაციული პროცესების ზეგავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე მხოლოდ ერთი თემა ეძღვნება. შესაბამისად, მოიხსნას სილაბუსის სათაურიდან „საერთაშორისო ურთიერთობები“ და სასწავლო კურსს მოეძებნოს შინაარსის შესაფერისი სათაური.

სასწავლო კურსი „პოლიტიკური კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“ შინაარსის მიხედვით ეძღვნება სხვადასხვა სახის ტრანსნაციონალურ დანაშაულს, ხოლო პოლიტიკური კორუფცია წარმოდგენილია მხოლოდ ორი თემით. შესაბამისად, აღნიშნული კურსის სათაური უნდა განისაზღვროს როგორც „ტრანსნაციონალური დანაშაული“. გარდა აღნიშნულისა, შეკითხვებს აჩენს სილაბუსში სხვადასხვა თემების ლოგიკური ბმა (მაგ., მორე კვირაში ისწავლება თემა სათაურით პოლიტიკური კორუფციის როლი ტრანსნაციონალური დანაშაულში და სტუდენტს მოეთხოვება იმავე შინაარსის ესსეს დაწერა, მაშინ როდესაც ტრანსნაციონალური დანაშაულის ცნება და ტრანსნაციონალური დანაშაულის ძირითადი სახეები ისწავლება მეოთხე კვირაში და სხვ.)

პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში დაშვებულია მრავლობითი ტექნიკური შეცდომები (მაგ. სწავლების სფეროდ იხსენიება ბიზნესის ადმინისტრირება, პროგრამის სტრუქტურის მიხედვით; პრაქტიკას სტუდენტი გადის VIII კვირაში, სილაბუსის მიხედვით კი პრაქტიკის ანგარიშის დაცვა დანიშნულია IV კვირაში; სილაბუსის სხვადასხვა ნაწილებში ხშირად იხსენიება მაგისტრანტი და სხვ.). გარდა ტექნიკური ხარვეზებისა, დასაზუსტებელია სხვადასხვა შინაარსობრივი დეტალები (რას აკეთებს პრაქტიკაზე სტუდენტი, ვინ აფასებს მას და რა კრიტერიუმებით, როგორ ითვლება საათობრივი ბადე და რა პრინციპით აქვს მინიჭებული 5 კრედიტი და სხვ.)

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **რეკომენდებულია,** დაზუსტდეს სათაური სასწავლო კურსებისთვის: „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“; „საერთაშორისო ურთიერთობები და საგარეო პოლიტიკა“; „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი“; „მიგრაცია და საერთაშორისო ურთიერთობები“; „პოლიტიკური კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“.

რეკომენდებულია, განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში: „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“; „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“; „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი“; „პოლიტიკური კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“; „პროფესიული პრაქტიკა“.

პროგრამის ბევრ სილაბუსში ეჭვს აჩენს, რამდენად მოიცავს ძირითად ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოები სილაბუსის ყველა თემას (მაგ. „საერთაშორისო

ურთიერთობების თეორიები“; „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“; „ნატო, ევროკავშირი და საერთაშორისო უსართხოება“; „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი“; „სსრკ დაშლა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური პრობლემები“ და სხვ.). ასევე, სხვადასხვა სილაბუსების ძირითად ლიტერატურაში ხშირად მეორდება ერთი და იგივე სახელმძღვანელოები. აღნიშნული პრობლემისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით, **რეკომენდებულია,** პროგრამის სილაბუსებში ყველა თემას მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურა.

ზოგადად, პროგრამის სილაბუსების ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა საკმაოდ მწირია და ხშირად მოიაზრებს მოძველებულ ლიტერატურას. **რეკომენდებულია,** პროგრამის სილაბუსებში გამრავალფეროვნდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა (ახალი გამოცემებით, ინგლისურენოვანი ლიტერატურით, უცხო ენებიდან ნათარგმნი ლიტერატურით, პოლიტიკის დოკუმენტების გამოყენებით, სასარგებლო ბმულების მითითებით და სხვ.)

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს მინიჭებული აქვს 4,5,6 კრედიტი, ყველა არჩევით კურსს 5 კრედიტი. სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია.

პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკონტაქტო საათებად განსაზღვრულია ჯამური 3 საათი. საგანმანათლებლო საფეხურის გათვალისწინებით, **სასურველია,** გამოცდებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების გაზრდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა და კურიკულუმის რუკის ანალიზი;
- უსდ შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, დაზუსტდეს სათაური სასწავლო კურსებისთვის: „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“; „საერთაშორისო ურთიერთობები და საგარეო პოლიტიკა“; „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი“; „მიგრაცია და საერთაშორისო ურთიერთობები“; „პოლიტიკური კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“.

რეკომენდებულია, განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში: „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“; „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“; „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი“; „პოლიტიკური კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“; „პროფესიული პრაქტიკა“.

რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში ყველა თემას მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურა.

რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში გამრავალფეროვნდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა (ახალი გამოცემებით, ინგლისურენოვანი ლიტერატურით, უცხო ენებიდან ნათარგმნი ლიტერატურით, პოლიტიკის დოკუმენტების გამოყენებით, სასარგებლო ბმულების მითითებით და სხვ.)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, გამოცდებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების გაზრდა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში „საერთაშორისო ურთიერთობები“ სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარება ხდება პრაქტიკული სასწავლო კურსებით, თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდებით და სავალდებულო პროფესიული პრაქტიკით, რომელსაც მინიჭებული აქვს 5 კრედიტი.

პროგრამის კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარის გამომუშავებას. კერძოდ, შემთხვევების ანალიზის და დისკუსიის მეთოდების გამოყენება ავითარებს ზეპირი ანალიტიკური მსჯელობის და დისკუსიაში მონაწილეობის პრაქტიკულ უნარებს. კურსების შეფასების კომპონენტების ნაწილიც, როგორიცაა მაგალითად რეფერატის დაწერა და მისი პრეზენტაცია მიმართულია დარგობრივ საკითხებზე წერის და საჯარო გამოსვლის უნარების განვითარებაზე.

პროგრამის ერთ-ერთი დასკვნითი კომპონენტის „პროფესიული პრაქტიკის“ განხორციელებაში ოფიციალურად ჩართული არიან უნივერსიტეტის სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციები და ინსტიტუტები. აღნიშნულ თანამშრომლობაზე შეთანხმება გაფორმებულია მემორანდუმების სახით, სადაც ერთ-ერთ საკითხად გამოყოფილია პარტნიორი მხარის მიერ სტუდენტებისთვის პრაქტიკის ორგანიზების საკითხი. მემორანდუმებში დაზუსტებული არ არის, რომელი ორგანიზაცია რამდენი სტუდენტის პრაქტიკის გავლაზე იღებს პასუხისმგებლობას.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სტუდენტების დიდი უმრავლესობა „პროფესიულ პრაქტიკას“ გადის ქუთაისის მერიაში. მიუხედავად ამისა, ინტერვიუების შედეგად ასევე დასტურდება, რომ „პროფესიული პრაქტიკა“ როგორც პროგრამის სავალდებულო კომპონენტი უზრუნველყოფილია ყველა სტუდენტისთვის.

ყველა სტუდენტს ჰყავს პრაქტიკის ხელმძღვანელი. პრაქტიკის ხელმძღვანელი

ჩართულია პრაქტიკანტი სტუდენტის შეფასებაში და ამისთვის ავსებს სპეციალურ „პრაქტიკის დღიურს“.

გასათვალისწინებელია, რომ „პროფესიული პრაქტიკის“ სილაბუსი წარმოდგენილია სამუშაო ვერსიით და შეიცავს ტექნიკურ ხარვეზებს, რაც ართულებს „პროფესიული პრაქტიკის“ კომპონენტის დეტალურ შესწავლას.

ქუთაისის მერიის თანამშრომლებთან გამართული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, ოფიციალური მიმოწერისთვის წერილების მომზადება და მთარგმნელობითი საქმიანობა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტების ის რაოდენობა, რა რაოდენობის სტუდენტებისთვისაც შეუძლია პარტნიორ ორგანიზაციას პრაქტიკის უზრუნველყოფა, ასევე, პრაქტიკის ხანგრძლივობა და დანიშნულება.

დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გამართული ინტერვიუების შედეგად დასახელდა რამდენიმე პრაქტიკული უნარი, რომელთა გაუმჯობესებასაც ინტერვიუერები მიესალმებიან. კერძოდ, დამსაქმებლებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, მეტი დრო დაეთმოს სტუდენტებში ენის პრაქტიკული უნარების განვითარებას. ისინი ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რომ სტუდენტები უკეთ ახერხებდნენ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავებას და აღჭურვილი იყვნენ კარგი ანალიტიკური უნარებით.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები გამოთქვამენ სურვილს უკეთ ჰქონდეთ ათვისებული საჯარო გამოსვლისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები.

აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლების რეკომენდაციით პროგრამაში გაძლიერდა ინგლისური ენის სწავლება და პროგრამას დაემატა მეორე არჩევითი უცხო ენა. პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში, რომელსაც უნივერსიტეტი ახორციელებს ერასმუს+ პროექტის ფარგლებში. ასევე, უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს ტრენინგებს და სტუდენტურ კონფერენციებს, რომელიც მიმართულია სტუდენტებს განუვითაროს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სხვადასხვა უნარი.

მიუხედავად ამისა, მომავლისთვის სასურველია სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში (სწავლების მეთოდების და შეფასების სისტემის გადახალისებით) გაძლიერდეს ისეთი პრაქტიკული უნარების განვითარება, როგორიცაა:

- ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების და დამუშავების უნარი;
- ჯგუფური მუშაობის უნარი;
- საჯარო გამოსვლის უნარი;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ანგარიშის წერის უნარი.

სასურველია, უნივერსიტეტის მხრიდან დამატებითი მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში მოტივაციის ზრდას, რათა უფრო აქტიურად ჩაერთონ სტუდენტურ კონფერენციებში და გაცვლით პროექტებში.

ასევე, სასურველია სტუდენტებს „პროფესიული პრაქტიკის“ გავლის შესაძლებლობა მიეცეთ სხვა არასამთავრობო და სახელმწიფო დაწესებულებებშიც, სადაც ერთი მხრივ შესაძლებელი იქნება სტუდენტების კვლევებში ჩართვა, ხოლო მეორე მხრივ გაძლიერდება დარგობრივ პრაქტიკულ საქმიანობაში სტუდენტების მონაწილეობა.

რეკომენდებულია, მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტების ის რაოდენობა, რა რაოდენობის სტუდენტებისთვისაც შეუძლია პარტნიორ ორგანიზაციას პრაქტიკის

უზრუნველყოფა, ასევე, პრაქტიკის ხანგრძლივობა და დანიშნულება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი;
- პრაქტიკის დღიური;
- მემორანდუმები;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტების ის რაოდენობა, რა რაოდენობის სტუდენტებისთვისაც შეუძლია პარტნიორ ორგანიზაციებს პრაქტიკის უზრუნველყოფა, ასევე, პრაქტიკის სავარაუდო ხანგრძლივობა და დანიშნულება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში სწავლების მეთოდების და შეფასების სისტემის გადახალისებით გაძლიერდეს ისეთი პრაქტიკული უნარების განვითარება, როგორიცაა: ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების და დამუშავების უნარი; ჯგუფური მუშაობის უნარი; საჯარო გამოსვლის უნარი; ანალიტიკური აზროვნების უნარი; ანგარიშის წერის უნარი.

სასურველია, უნივერსიტეტის მხრიდან დამატებითი მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში მოტივაციის ზრდას, რათა უფრო აქტიურად ჩაერთონ სტუდენტურ კონფერენციებსა და გაცვლით პროექტებში.

სასურველია, სტუდენტებს „პროფესიული პრაქტიკის“ გავლის შესაძლებლობა მიეცეთ ქუთაისის მერიის გარდა სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც ერთი მხრივ, შესაძლებელი იქნება სტუდენტების კვლევებში ჩართვა, ხოლო მეორე მხრივ, გაძლიერდება დარგობრივ პრაქტიკულ საქმიანობაში სტუდენტების მონაწილეობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სწავლება-სწავლის მეთოდები (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); შემთხვევის ანალიზი (Case study); გუნდური (collaborative) მუშაობა; დისკუსია/დებატები; როლური და სიტუაციური თამაში და სხვ). ასევე, სწავლება-სწავლის პროცესში ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. წარმოდგენილი მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს და ეფექტურ როლს ასრულებს სწავლის შედეგების მიღწევაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სილაბუსების უდიდეს ნაწილში სტანდარტულად ერთი და იგივე სწავლება-სწავლის მეთოდებია წარმოდგენილი მიუხედავად სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების მეთოდებისა, რაც აჩენს ეჭვს აღნიშნული მეთოდების რეალობაში გამოყენების შესახებ. ასევე, სწავლება-სწავლის ზოგიერთი მეთოდი, როგორც ჩანს არ არის ადეკვატურად აღქმული. მაგ., დისკუსია/დებატები მითითებულია თითქმის ყველა სილაბუსის თითქმის ყველა კვირაში. პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ „დებატი“ გაიგივებულია დისკუსიასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, **რეკომენდებულია,** პროგრამის სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების ნაკლები უნიფიცირება სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების სისტემის გათვალისწინებით.

ასევე **რეკომენდებულია,** უსდ-მ მოახდინოს პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენების შესახებ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების ნაკლები უნიფიცირება სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების სისტემის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია, უსდ-მ მოახდინოს პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენების შესახებ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა მიერ ონლაინ შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ხასიათდება გამჭვირვალობით. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისშივე. ცოდნის შედეგების შეფასების ელექტრონული სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტს ინდივიდუალურად გაეცნოს შეფასების შედეგებს. აღნიშნული ელექტრონული სისტემა გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (http://edean.atsu.edu.ge/dekanati/) ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტს იქონიოს უკუკავშირი ლექტორთან და საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აწსუ) მოქმედი სააპელაციო სისტემის მეშვეობით სტუდენტს უფლება აქვს მიღებული შეფასების გასაჩივრების მიზნით მიმართოს რექტორის მოადგილეს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა. შედეგად, ამ მიზნით შექმნილი აპელაციის კომისია იღებს გადაწყვეტილებას და იგი სტუდენტის შეფასებას აუმჯობესებს ან ტოვებს ძალაში. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით.

აქვე ხაზგასასმელია, რომ ონლაინ ვიზიტმა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობამ დაგვანახა, რომ შეფასების არსებული სისტემა, რომელიც რეგულირდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და აწსუს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის № 5, (17/18) დადგენილების შესაბამისად, კარგადაა ცნობილი შემფასებლებისათვისაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალი იღებს ყველა საჭირო ინფორმაციას მოცემული კუთხით. შემფასებლები რეგულარულად მონაწილეობენ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრეინინგებში და იღებენ თანამედროვე ინფორმაციას ამ მიმართულებით. აღნიშნული ასახულია თითოეული კურსის სილაბუსებშიც, რომლებშიც წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ზეპირი და წერილობითი დავალებების შესრულებას, ტესტირების ჩატარებას, ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური

კომპეტენციის ზღვარი. გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევისაკენ. მიუხედავად აღნიშნულისა, სხვადასხვა სილაბუსებში ფიქსირდება აქტივობის 30 ქულის უნიფიცირებული რუბრიკები, ერთი და იგივე შეფასების მეთოდების გამოყენება (მაგ., დახურული ტესტების და ქვიზების ხშირი გამოყენება შეფასების ფორმად ისეთ სასწავლო კურსებშიც, რომლის შინაარსიდან გამომდინარე მსგავსი შეფასების მეთოდები არ უნდა იყოს სასურველი). ასევე, ხშირია დისკუსიებში მონაწილეობის ქულობრივი შეფასება, მიუხედავად კონკრეტული სასწავლო კურსის თუ კონკრეტული სასწავლო თემის სპეციფიკისა. გარდა აღნიშნულისა, შუალედური და ფინალური გამოცდების რუბრიკები თითქმის ყველა შემთხვევაში უნიფიცირებულად გულისხმობს თეორიული საკითხების დაწერას (პრაქტიკული უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებშიც). **რეკომენდებულია,** შეფასების რუბრიკები და მეთოდები გახდეს არაუნიფიცირებული თითოეული სასწავლო კურსისთვის სასწავლო კურსის შინაარსისა და მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • საბაკალავრო საგნმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“; • ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება; • აწსუს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა http://edean.atsu.edu.ge • ფაკულტეტის ვებგვერდი; • აწსუს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის № 5, (17/18) დადგენილება სტუდენტთა შეფასების სისტემის შესახებ; • აწსუს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №9 (17/18) დადგენილება გამოცდების აპელაციის წესის შესახებ.
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია,** შეფასების რუბრიკები და მეთოდები გახდეს არაუნიფიცირებული თითოეული სასწავლო კურსისთვის სასწავლო კურსის შინაარსისა და მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც ონლაინ-ვიზიტის შედეგად ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, პროგრამა გამოირჩევა იმ მექანიზმების მრავალფეროვნებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, კერძოდ სტუდენტებთან კომუნიკაცია დაუბრკოლებლად ხორციელდება ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო კომუნიკაციის, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა eFlow-სა და სოციალური ჯგუფების მეშვეობით. პროგრამის სტუდენტებს საჭირო ინფორმაციას აწვდიან და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით კონსულტაციებს უტარებენ როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, ასევე ფაკულტეტისა და პროგრამაში ჩართული პერსონალიც. სასწავლო პროცესის შესახებ სტუდენტები ინფორმაციას იღებენ ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან

(https://atsu.edu.ge/index.php/academic-calendar-2020-2021-geo).

პროგრამის სტუდენტები ასევე სარგებლობენ ანდროიდ პლატფორმაზე შექმნილი აპლიკაცია ATSU NEWS-ით, რომელიც აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას როგორც სასწავლო პროცესზე, ასევე უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეების და მოვლენების შესახებ. ამასთანავე, სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ საჭირო ინფორმაციას საუნივერსიტეტო სერვისების, სხვადასხვა დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო ღონიძიებებისა და პროექტების თაობაზე უნივერსიტეტში მოქმედი ოფიციალური ვებ–გვერდის (www.atsu.edu.ge) მეშვეობითაც. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ვებგვერდზე განთავსებული გზამკვლევის საშუალებით სტუდენტი იღებს ინფორმაციას ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების, გრანტების, კარიერული განვითარებისა და საჯარო ლექციების შესახებ. მაგალითად, მოცემული პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა წლებში შიდასაუნივერსიტეტო და საერთაშორისო კონფერენციებში (კონფერენცია საარჩევნო მარკეტინგისა და პოლიტიკური რეკლამის როლი აწსუ სტუდენტთა სწავლებისა და პოლ/ მსოფლმხედველობის ფორმირებაში - 2020, საერთაშორისო კონფერენცია თემაზე "თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები – 2021"), კვლევით კონკურსებში (პროექტი "ისაუბრე, იკვლიე და აღმოაჩინე ნატო") და გაცვლით პროგრამებში (ERASMUS+ ფარგლებში განხორციელებული გაცვლითი პროგრამა რუმინეთში).

ამასთანავე, უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით (ელექტრონული ფოსტა, ონლაინ სწავლების პლატფორმა - Microsoft teams, საინფორმაციო პლატფორმა - ATSU NEWS, უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, ოფიციალური facebook გვერდი) სტუდენტები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას როგორც სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი კომპონენტისა თუ მიმართულების შესახებ, ასევე ვაკანსიების და კარიერული ზრდის მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინფორმირებისა და კონსულტირების პროცესში ფაკულტეტის დეკანატის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ასევე ჩართულია სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებთან კომუნიკაციას, მათ კონსულტაციას, კარიერულ საკითხებთან დაკავშირებით დახმარებას, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. პროგრამის სტუდენტები ასევე სარგებლობენ უნივერსიტეტში მოქმედი „ომბუდსმენის ოფისის“ სერვისებითაც, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს და მიმართულია სტუდენტების უფლებების დაცვისაკენ. ამასთანავე პროგრამის პირველკურსელი სტუდენტებისათვის მხარდაჭერის გაწევის, მათი დაკვალიანებისა და სასწავლო პროცესის გაცნობის მიზნით აქტიურ საქმიანობას ეწევა „ტუტორის ინსტიტუტი“, რომელიც წარმოდგენილია სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის მიერ კონკურსის წესით შერჩეული სტუდენტებისაგან.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ აკადემიურ პერსონალთან განსაზღვრულ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. ამასთანავე თითოეული სტუდენტის სასწავლო პროცესში მაქსიმალურად ჩართვის მიზნით, უნივერსიტეტში მიღებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომლიც უზრუნველყოფს სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით მათ მაქსიმალურად ეფექტიანად ჩართვას სასწავლო პროცესში.

როგორც ონლაინ-ვიზიტისას შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა,

სტუდენტები ჩართულნი არიან ასევე პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესშიც. პერიოდულად ტარდება სტუდენტების როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო და უშუალოდ პროგრამის შიდა გამოკითხვებიც, რომლითაც ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამა და მისი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ ტექნიკური რესურსები, ასევე ზოგად საუნივერსიტეტო სერვისის ხარისხიც. ხაზგასასმელია, რომ პროგრამის თვითშეფასების პროცესში სტუდენტთა აქტიური ჩართულობის შედეგად, პროგრამაში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის ცვლილებები (მაგ. ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება, მეორე არჩევითი უცხო ენის დამატება, პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება). სტუდენტთა კონსულტაციის, მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმართველობა, რომლის ფარგლებში მოქმედი ოთხი დეპარტამენტის მეშვეობით ხელი ეწყობა სტუდენტთა თვითრეალიზაციას, მათი ინტერესებისა და უფლებების დაცვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • თანამშრომლობის მემორანდუმები; • ფაკულტეტის ვებგვერდი (http://www.atsu.edu.ge/); • ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან; • აკადემიური საბჭოს დადგენილება №30(17/18) „უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“; • სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური https://atsu.edu.ge/index.php/students-service-info • აწსუ ტუტორი https://atsu.edu.ge/index.php/tutoring-info • სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობა https://atsu.edu.ge/index.php/carrier-development-info
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება სტანდარტის მოცემული კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულნი არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათ შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 3 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ პროფესორი და 6 მოწვეული სპეციალისტი. უნივერსიტეტში მოქმედებს აფილირების წესი და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალიდან 19 აფილირებულია. მისასალმებელია სხვადასხვა უნივერსიტეტიდან დარგის წამყვანი სპეციალისტების მოწვევა და პროგრამის სავალდებულო კურსებში მათი ჩართვა. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, ტრენინგებით და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებით საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ფლობს დარგისთვის და პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელ ცოდნას და აქტიურად მონაწილეობს პროგრამის განვითარების პროცესში. პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა სამსახურის ხელშეწყობით. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, მარკეტინგის,

პროექტებისა და ღონისძიებების მართვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურისა და სხვათა ხელშეწყობით. პროგრამის უშუალოდ განხორციელებას და მონიტორინგს კი უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია: დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის და პროგრამის ხელმძღვანელები, რომელთა რაოდენობა, ფუნქცია-მოვალეობები და კომპეტენცია შეესაბამება სტანდარტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით; • აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები); • პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები; • აკადემიური პერსონალის აფილირების წესი; • აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №173. 28.02.2018. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ; • 2019 წლის 10 ივლისის აკადემიური საბჭოს №65 (18/19) დადგენილება: „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმები“; • ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; • უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის ჩატარების წესი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ადმინისტრაცია რეგულარულად ახორციელებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებას. პროცესის მიზანია უნივერსიტეტის თანამშრომლების ხელშეწყობა საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებასა და პროფესიულ განვითარებაში.

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. აკადემიური პერსონალის სასწავლო - მეთოდურ მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და რექტორის მოადგილე.

პერსონალის შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის და მისი ანალიზის საფუძველზე ხდება უნივერსიტეტში პერსონალის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, რაც უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობითა და ადმინისტრირებით მიმდინარეობს.

პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის აწსუ იყენებს შემდეგ სერვისებს:

- ტრენინგებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება;
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები;
- აწსუ-ს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება;
- უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგ მოდულები;
- აწსუ-ს სამეცნიერო კონფერენციების სერვისები.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი მონაწილეობას ღებულობს ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“, რომელიც ტარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით აწსუ ორ წელიწადში ერთხელ ატარებს საერთაშორისო კონფერენციას ამერიკანისტიკაში. აღნიშნული კონფერენციის აქტიური მონაწილეა პროგრამის აკადემიური პერსონალი.

COVID 19-ის პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ელექტრონული სწავლების განვითარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის მუდმივმოქმედ ჯგუფთან ერთად აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩაატარა ტრენინგები დისტანციური სწავლებისა და უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმებით სარგებლობის შესახებ. აკადემიური პერსონალისთვის მომზადდა ვიდეო ინსტრუქციები და გზამკვლევები სწავლება/სწავლის პროცესის შეუფერხებელი წარმართვისთვის.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის წახალისების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა:

- საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანასება;
- საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა;
- საერთაშორისო გამოცემებში პერსონალის გამოქვეყნებების მხარდაჭერა;
- საერთაშორისო პარტნიორებთან სამეცნიერო-კველევითი პროექტების განხორციელების მხარდაჭერა.

უნივერსიტეტში არსებობს ბრძანება სამოგზაურო გრანტის შესახებ. თუკი პროფესორი მონაწილეობას იღებს მნიშვნელოვან ღონისძიებაში, მან უნდა წარადგინოს საბუთები საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურში ბრძანების შესაბამისად, სამსახური სწავლობს საბუთებს და ანგარიშს წარუდგენს რექტორს, დაფინანსების შესაძლებლობის შესახებ. ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტი პროფესორს უნაზღაურებს მგზავრობას და დღიურ ხარჯებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთანავე მსგავსი ფუნქცია აქვს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც ბონუსიდან აფინანსებს პროფესორის აქტივობას.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს შიდა საგრანტო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია აკადემიურ პერსონალს ინდივიდუალურად ან ჯგუფის სახით.

საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური სისტემატურად აწვდის ინფორმაციას ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტს სხვადასხვა დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ.

უნივერსიტეტში არსებობს კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, რომელიც სისტემატურად ზრუნავს აკადემიური პერსონალის განვითარებაზე. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პროექტებისა და პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტი რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების შესახებ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა EP-QA 1.2;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა. დანართი 4-EP-QA 1.2;
- აწსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- აწსუ-ს აკადემიური საბჭო დადგენილება № 65(18/19), 10.07.2019 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურული და ტექნიკური აღჭურვილობით. მათ შორის გამორჩეულად კარგად მუშაობს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია პროგრამისთვის აუცილებელი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურა. სტუდენტებისთვის და პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები, რომელთა ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე.

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიდან ასევე შესაძლებელია ელექტრონული კატალოგით ლიტერატურის მოძიება და დაჯავშნა.

ერასმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტების ფარგლებში ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნა ორი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებით და ჭკვიანი დაფებით. პროგრამა ასევე სარგებლობს საპროექციო აპარატურით აღჭურვილი 20 აუდიტორიით, შეხვედრებისა და კონსულტაციების ოთახებით და საკონფერენციო დარბაზებით. უნივერსიტეტის ერთ-ერთ საკონფერენციო დარბაზში განთავსებულია სინქრონული თარგმანის აპარატურა.

უნივერსიტეტი სარგებლობს Microsoft-თან გაფორმებული ოფიციალური სახელშეკრულებო პირობებით და ლიცენზიებით. დისტანციური სწავლების ფორმატში უნივერსიტეტი იყენებს Microsoft Teams-ს. ყველა სტუდენტს საშუალება აქვს ისარგებლოს კორპორაციული ფოსტით და Microsoft-ის სხვა პროდუქტებით.

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შესაძლებელია უფასო Wi-Fi-ით სარგებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
- აწსუ-ს ბიბლიოთეკა https://library.atsu.edu.ge/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ყოველწლიური ხარჯის გაანგარიშების სპეციალური ელექტრონული პროგრამით და იანგარიშება პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით. პროგრამის თანდართული ბიუჯეტი აგებულია პროგრამის ცალკეული ჯგუფისთვის გათვალისწინებული ხარჯების მიხედვით და მოიცავს (ერთი 22 სტუდენტიანი ჯგუფისთვის):

- აკადემიური პერსონალის სახელფასო სარგოს და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობას;
- წლის განმავლობაში დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯს;
- წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯს;
- ინფრასტრუქტურას ალტერნატიული წყაროებიდან, რაც გულისხმობს სხვადასხვა ფონდებიდან შეძენილი აქტივის ან საჩუქრად გადმოცემული ქონების ღირებულებას, რომელიც პროგრამის ხარჯს არ ემატება და წარმოადგენს დამატებით სარგებელს.
- სხვა ხარჯებს, რომელშიც შედის სახარჯო მასალები და მარაგები.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ აღნიშნული ფორმით გაანგარიშების საფუძველზე პროგრამის წლიური ხარჯი შეადგენს 50264 ლარს.

დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ უნივერსიტეტი ჩართულია აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარების ფინანსურ მხარდაჭერაში. მიუხედავად ამისა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი ხარჯი ბიუჯეტის ფორმატიდან გამომდინარე გათვალისწინებულია <u>სხვა ხარჯებში</u> და წარმოდგენილია ერთ ჯგუფზე საშუალო გადანაწილების პრინციპით. ბიუჯეტის აღნიშნული ფორმა ართულებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების განვითარებისთვის გამოყოფილი ყოველწლიური ფინანსური ხარჯის აღქმას.

სასურველია, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი წარმოდგენილი იყოს უფრო თვალსაჩინოდ, სადაც გამოჩნდება ამ მიმართულებით წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური ხარჯი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი წარმოდგენილი იყოს უფრო თვალსაჩინოდ, სადაც გამოჩნდება ამ მიმართულებით წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური ხარჯი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი კომპონენტების შიდა შეფასებას. აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა და გარე შეფასების მექანიზმების გამოყენება დაფუძნებულია დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებზე, პრიორიტეტულია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის კვლევის და მართვის ეფექტიანობის განვითრების/გაუმჯობესების პოლიტიკა; ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, დაგეგმვა და დამტკიცება; მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება.

ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად დაგეგმა და განახორციელა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება პროგრამის შემუშავებასა და განხორცილებაში ჩართული ყველა მხარისათვის პროგრამის ხელმძღვანელის დახმარებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზითა და ჩატერებული ინტერვიუებით იკვეთება, რომ ხარისხის მართვაში გამოყენებული მიდგომები მდგრადად დანერგილია ფაკულტეტზე. ამასთან, ფაკულტეტზე მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა ეფუძნება აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს. ამასთან, სამოქმედო გეგმის მიხედვით, მიმდინარეობს სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, მონაცემთა ანალიზი და ხარისხის ამაღლებაზე მიმართული კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ფორმაში მოყვანილი მონაცემები დეტალიზებულია და ორიენტირებულია რაოდენობრივ მონაცემებზე, რაც საშუალებას იძლევა მარტივად წარმოჩინდეს პროგრამის განვითარების დინამიკა, მოხდეს მისი სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა დაფუძნებულია საერთაშორისო „კარგი პრაქტიკისა“ და გამოცდილების გაზიარებაზე, რომლის გათვალისწინებით იგეგმება ხარისხის სისტემაში გამოყენებული პოლიტიკები, პროცედურები და ინსტრუქციები. მათ შორისაა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებული ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასება, რომელიც შემუშავდა BathSpa University-ის გამოცდილების გაზიარებით. აღნიშნული ხორციელდება 2017 წლიდან აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისათვის. პროცესში გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრებამ ხელი შეუწყო გამოცდილების გაზიარებასა და პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის პირველ ნახევარში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ლექტორ-მასწავლებელთა უმრავლესობა, თვითგანვითარებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის პრობლემურ საკითხად მიიჩნევდა კვალიფიკაციის ამაღლებას დარგობრივი მიმართულებებით, სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების გაწერის, კურიკულუმის რუკის შედგენისა და კვალიფიკაციის განსაზღვრის ტექნიკებს, რის გამოც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაგეგმა და განახორციელა ტრენინგები პროგრამების ხელმძღვანელებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფისათვის აწსუ ეფექტურად იყენებს შესაბამის ადამიანურ, საინფორმაციო და მატერიალურ რესურსებს. ასევე პროგრამის შიდა შეფასების მიზნით აქტიურად მიმდინარეობს აწსუს სხვა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსების მიერ წარმოდგენილი პროგრამების შეფასება. ამ მიზნით, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ შიდა შეფასება გააკეთა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა. შიდა შეფასებით მიღებული რეკომენდაციები მეტწილად აისახა პროგრამაში (მაგ. სასწავლო კურსებში

ლიტერატურის განახლება).

პროგრამის განვითარების პროცესში ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რაც აისახება პროგრამის კურუკულუმსა თუ სასწავლო კურსებში განხორციელებულ ცვლილებებში. შიდა შეფასება ასევე წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტე-რიუმს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციიათა და გასაუბრების შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - 09.02.2018, #49(17/18) https://atsu.edu.ge/index.php/acadcouncil-separator/akad-sabcho-dadgenilebebi/2017-2018/49-2017-2018
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები https://atsu.edu.ge/index.php/qas-reports შიდა შეფასება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ გარე შეფასების ინსტრუმენტებს იყენებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ამისთვის ის თანამშრომლობს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან (გარე შემფასებლების დარგობრივი კოლეგიალური შეფასებები).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2011 წელს განხორციელდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სოციალური მეცნიერებები“ აკრედიტაცია, რომლის შემადგენელი ერთ-ერთი მოდული იყო „საერთაშორისო ურთიერთობები“. წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების პროცესში აისახა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება გააკეთა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

სამუშაო ჯგუფის მიერ მეტწილად გათვალისწინებულია გარე შეფასებით მიღებული რეკომენდაციები და პროგრამაში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები, რაც დასტურდება ხარისხის სამსახურთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებებით (მაგალითად, სახელდება ლიტერატურის დამატებისა და გადახალისების საკითხი).

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნა, რომ პროგრამის მომზადებისას მათ მიერ მოხდა პროგრამის დადარება ისეთ უცხოურ საერთაშორისო აკრედიტირებულ პროგრამებთან, როგორიცაა იაპონიის, ლატვიისაა და უკრაინის უნივერსიტეტები და გათვალისწინებულ იქნა ზოგიერთი საკითხი პროგრამის კურიკულუმში (მაგ. სასწავლო კურსები, კრედიტების მოცულობა).

პროგრამის გარე შეფასების მიზნით, ასევე განხორციელდა პროგრამის განხილვა დამსაქმებლებთან და მათი რეკომენდაციები სრულად აისახა პროგრამის კურიკულუმში. კერძოდ, გაიზარდა კრედიტების რაოდენობა ინგლისურ ენაში; გაიზარდა პრაქტიკული მეცადინეობების წილი; სწავლების მეთოდოლოგიის ნაწილში დაემატა ისეთი სწავლების მეთოდები, როგორიცაა „ქეისსთადი“, „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“ და ა.შ. რაც დასტურდება დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან ჩატარებული ინტერვიუებით და წარმოდგენილი პროგრამით. ასევე, **სასურველი** იქნებოდა, პროგრამას ჰქონდეს გარე შეფასება ევროპული უნივერსიტეტებიდანაც, მით უფრო, რომ უსდ-ს გააჩნია საკმაოდ კარგი პარტნიორული ურთიერთობები ევროპის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა - კურიკულუმი
- აწსუს ხარისხის სამსახურის გამოკითხვები -
- პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება -
- ბაზრის კვლევის ანალიზი 3
- დამსაქმებელთა გამოკითხვა
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა
- 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტების ჯგუფის შეფასება
- გარე შეფასება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** პროგრამას ჰქონდეს გარე შეფასება იმ ევროპული უნივერსიტეტებიდან, რომლებთანაც უსდ-ს დამყარებული აქვს პარტნიორული ურთიერთობები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ უსდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშის წარდგენით, ასევე საკანონმდებლო აქტებში ასახული ცვლილებების განხორციელების გზით. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით: დაინტერესებული პირების/სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული გამოკითხვებით; ასევე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების; კურსდამთავრებულთა დასაქმების; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზით და სხვა ღონისძიებებით. კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის საფუძველზე დგინდება პროგრამის განხორციელებაში არსებული ხარვეზები, რომელთა გამოსწორების მიზნით მიმდინარეობს რეკომენდაციების შემუშავება და ერთობლივი განხილვა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, შემდეგ კი კონსესუსის გზით გარკვეული ცვლილებების შეტანა. ცვლილებების შეტანის პროცესში ასევე დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტების, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ინიციატივებს. ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ სხვადასხვა ტიპის გამოკითხვებს წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამისი აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი. კითხვარებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. კითხვარების ანალიზის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელსა და შესაბამის დეპარტამენტს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის. აქტიურად მიმდინარეობს გამოკითხვების მონაცემების შედარება წინა სემესტრების მონაცემების მაჩვენებლებთან, რათა დინამიკაში განისაზღვროს, ჰქონდა თუ არა

აკადემიური მოსწრების რადიკალურ ცვლილებას ადგილი და შესაბამისად, დადგინდეს მიზეზები.

ასევე, ანალიზის შედეგად მიმდინარეობს სილაბუსებში სხვადასხვა ტიპის ცვლილებების, ასახვა - სწავლების მეთოდებთან, შეფასების სისტემასთან და სასწავლო კურსის შინაარსთან მიმართებით.

აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრება, სააუდიტორიო მუშაობის შეფასება და შეფასების შედეგების ანალიზი ხორციელდება ყოველ სემესტრში.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დგება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, სადაც განიხილება პროგრამის განხორციელების სტატისტიკური მაჩვენებლები, პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები, განხორციელებული ცვლილებები, პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები და სხვ. პროგრამის თვითშეფასების პროცესში გაანალიზებულია საგანმანათლებლო პროგრამის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები, რის საფუძველზეც იგეგმება პროგრამის სრულყოფის მიზნით სხვადასხვა მოდიფიკაციის განხორციელება.

შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები და სხვადასხვა აქტიური ღონისძიებები უზრუნველყოფს პროგრამის გაუმჯობესებას, რაც დასტურდება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“.
- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018;
- EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
- გამოკითხვების ფორმები;
- აწსუ-ს აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- აწსუ-ს სტუდენტების კმაყოფილების კვლევა.
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობ	მეტწილად	ნაწილობრი	არ არის

	აშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ვ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
საერთაშორისო ურთიერთობები, საფეხური 6

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა გვანცა აბდალაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ხვიჩა ბერიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ირმა ქურდაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნანა ფირცხელანი